დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის
2021 წლის 16 მარტის N 16 „ ო „ ბრძანებით

სსიპ- კოლეჯი ,,ერქვანი’’-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა- სტუდენტის/მსმენელის ინტერესებისა და შესაძლებლობების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი,რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/ მომზადების პროგრამას/ გადამზადების პროგრამას და პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სტუდენტის/მსმენელის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევ გზებს;

2.წინამდებარე წესი განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში- სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შემდგომში -შშმ), აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას(საჭიროების შემთხვევაში). ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ/შშმ სტუდენტისათვის იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას. დასაშვებია შედგეს(დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.

3. ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის, ხდება: სასწავლო გეგმის აკომოდაციის (მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე) ან/და სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის (მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლილება) მიზნით.

იმ შემთხვევაში თუკი მოხდება სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სსსმ/შშმ სტუდენტი ვერ დაძლევს სწავლის შედეგებს, ვერ მიიღებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს. მას მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა სწავლის დამადასტურებელი ცნობა.

4.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

4.1. სსსმ/შშმ სტუდენტი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს.

4.2. მობილობით გადმოსული სტუდენტის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან.

4.3. პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

5. ,, მე-4 პუნქტის 4.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი, მასწავლებელი ან/და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მიმართავს კოლეჯის ინკლუზიური განათლების შიდა მხარდამჭერ გუნდს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე(გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით).ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დადასტურების შემთხვევაში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ამა თუ იმ მოდულის ფარგლებში,ეტაპობრივად, მოდულის მიმდინარეობისას, ადგენს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად.''

5[1]. საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზის(მტკიცებულებების) საფუძველზე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის:

1.დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას.

2.დამატებითი მომსახურების თანხა დაიფარება ,,დანამატი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის“ გამოყოფილი თანხიდან.

6. მე-4 პუნქტის 4.2. და 4.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის N 166 „ო“ ბრძანებით

6[1]. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია კომპლექტდება მინიმუმ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყვნენ სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის N 166 „ო“ ბრძანებით

7. კომისია ამოწმებს სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების საჭიროების/არ საჭიროების შესახებ, ამზადებს ოქმს და წარუდგენს კოლეჯის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის N 166 „ო“ ბრძანებით

7[1]. იმ შემთხვევაში, როდესაც კომისია ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავების საჭიროებას, მოდულის/მოდულების განმახორციელებელი/განმახორცილებლები ადგენს /ადგენენ ინდივუდუალურ სასწავლო გეგმას/გეგმებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის რეკომენდაციით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის N 166 „ო“ ბრძანებით

8. სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართული იქნას მისი კანონიერი წარმომადგენელი.

9.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრული უნდა იქნას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში.